წერილის ნომერი: **30-302335572**
თარიღი: **21/12/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2023 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ;

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის N1740 განკარგულებით გამოიყო 150000 ლარი მუნიციპალიტეტში სექტემბრის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმროს ხარჯების დაფინანსებისათვის და სტიქიის ზონაში მომუშავე სპეციალიზებული ტექნიკის მომსახურების ხარჯების დაფინანსებისათვის 550000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით შემცირდა გზების სარეაბილიტაციო (ორგ.კოდი 020101) სამუშაოების დაფინანსება 13882 ლარით, მათშორის ცენტრალური ბიუჯეტი 11882 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება- 2000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 04 იანვრის N116 განკარგულებაში შევიდა ცვლილება 2023 წლის 19 დეკემბრის N2291 განკარგულებით და დამატებით გამოეყო სტიქიის შედეგად განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად 113218 ლარი; მათშორის სოფელ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ხიდის და დამცავი კედლის გამაგრება 113218 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის წერილის საფუძველზე ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგარმით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის 900 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა 900 ლარით.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახლაგაზრდულ საქმეთა სამსახურის მომართვის საფუძველზე განათლების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ.კოდი 0403) შემცირდეს სუბსიდიის მუხლის 800 ლარის შემცირების გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 800 ლარით.

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის

საქონელი და მომსახურების მუხლი 78386,50 ლარი, არაფინანსური აქტივების მუხლის 27491,40 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 105877,90 ლარით.

ა(ა)იპ კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მომართვის საფუძველზე დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის (ორგ.კოდი 03 01) შემცირდეს არაფინანსური აქტივების მუხლი 40000 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების (ორგ. კოდი 020603) 5000 ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 9500 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის, (ორგ.კოდი 03 02) შემცირდეს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 445 ლარით, აღნიშნული შემცირებების ხარჯზე გაიზარდოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის (ორგ.კოდი 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლი 8700 ლარით და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურება 10000 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 6000 ლარი, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის (ორგ.კოდი 03 02) გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 445 ლარით მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის (ორგ.კოდი 02 07) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზრაურების მუხლი 800 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების ხარჯი სხვა საქონელი და მომსახურების მუხლ 29000 ლარით.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების არაფინანსური აქტივების მუხლის 2685 ლარით და სხვა ხარჯების მუხლის 3000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 5685 ლარით.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდოს 2000 ლარით.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი